



ბრძანება

N 434
20/09/2018

ნათელა აბრამიძისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის 2017 წლის 9 იანვრის N65 ბრძანებით ნათელა აბრამიძე დარეგისტრირდა აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-A-732013) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის (N PFL 132/17) თანახმად, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრებოდა 2018 წლის 20 მარტამდე.

2018 წლის 29 მაისს ნათელა აბრამიძეს ჩაბარდა წერილი N16/68587, რომლის თანახმადაც განესაზღვრა 5 სამუშაო დღის ვადა პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის. აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტაცია სამსახურისთვის დღემდე არ წარდგენილა.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-17 მუხლის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელიც თავისი სახელით ახორციელებს აუდიტორულ საქმიანობას, ვალდებულია დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 100 000 ლარის ოდენობით. „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონდეს პროფესიული პასუხისმგებლობა.

კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „ამ კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის წერილობითი გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.“

მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორი ვალდებული იყო უფლებამოსილების განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე დაზღვეული ჰქონოდა პროფესიული პასუხისმგებლობა. სამსახურისთვის წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ნათელა აბრამიძის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ვადა განისაზღვრებოდა 2018 წლის 20 მარტამდე, ხოლო განახლებული პოლისი სამსახურისათვის წარდგენილი არ ყოფილა. აღნიშნულის

გათვალისწინებით, დარღვევულია კანონმდებლობით დადგენილი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის უწყვეტობის მოთხოვნა, რაც იწვევს აუდიტორის პასუხისმგებლობას.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის, მე-17 მუხლის, 24-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „აუდიტორის/აუდიტორული (აუდიტური) ფირმის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის არსებითი პირობების და სადაზღვევო თანხის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ოქტომბრის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნათელა აბრამიძეს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება;
2. დაევალოს ნათელა აბრამიძეს წარმოადგინოს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თაობაზე ინფორმაცია/დოკუმენტაცია 5 სამუშაო დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მიღებულ იქნას აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში ნათელა აბრამიძის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს ნათელა აბრამიძეს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

